შპს "ინფოაუდიტი"

ინფოაუდიტი
INFOAUDITI

"INFOAUDITI" Ltd

№ 20/04-23/01

2020 წლის 23 აპრილი

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №43,
214-53-27, 593-31-27-23

აუდიტორული დასკვნა
(ფინანსური ანგარიშგების)

აუდიტორული დასკვნა შესრულებულია შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის" დირექტორის ნინო ყიფიანი (პ/ნ: 01010012459) მომართვის საფუძველზე.

შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია" წარმოადგენს იურიდიულ პირს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), რომელის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტელერადიო მაუწყებლობა.

შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია" რეგისტრირებულია 1995 წლის 29 დეკემბერს მთაწმინდის რაიონის სასამართლოში (რეგისტრაციის № 4/4-250) და მას მინიჭებული აქვს გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 203844723.

ვიხელმძღვანელეთ რა „საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" ჩავატარეთ აუდიტორული შემოწმება, კერძოდ შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის" შემოსავლებისა და ხარჯების სისწორეზე.

შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის" ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილ დოკუმენტების სისწორეზე.

შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის" ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ იქნა შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ორგანიზაციის 2019 წლის ფინანსური ინფორმაცია/ანგარიში (ბრუნვითი უწყისი);

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად ჩვენს მიერ მოხდა შემოსავლებისა და ხარჯების სიზუსტის იდენტიფიცირება, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ საზოგადოების ერთობლივი შემოსავალია **600** (ექვსასი) ლარი, გამოსაქვითი ხარჯი შეადგენს **15365,51** (თხუთმეტი ათას სამასსამოცდახუთი) ლარს და 51 თეთრს, ხოლო ზარალი კი (გამოქვითვებს გადამეტება შემოსავალზე) – **14765,51** (თოთხმეტი ათას შვიდასსამოცდახუთი) ლარს და 51 თეთრს.

აუდიტი ჩატარებულია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის მიზანია მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის" ფინანსური ანგარიშგება წარმოებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად და არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

შპს "ინფოაუდიტი"-ს

დირექტორი — მ. მელქაძე

აუდიტორი — გ. მელქაძე

აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო დოკუმენტები (რეგისტრაციის თარიღი: 01.03.2017)